

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 133 (5683)

7 1976 წ. ივლისი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „ლოკომოტივი" ჩემპიონია

მოსკოვის „ლოკომოტივმა" მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა რკინიგზელ ფეხბურთელთა ტრადიციულ შეჯიბრებაში. მოსკოველებმა ფინალური მატჩი ანგარიშით 5:1 მოუგეს ჩეხოსლოვაკიის „ლოკომოტივს" (კოშიცე). ორი ბურთი გაიტანა ნოდიამ, თითო — კოზლოვსკიხმა, ოვჩინიკოვმა და სიომინმა.

ვერცხლის მედლები ხვდათ ჩეხოსლოვაკიელებს, ბრინჯაოსი — გდრ-ის წარმომადგენლებს.

ჩემპიონატში, ზემოჩამოთვლილთა გარდა, გამოდიოდნენ ბულგარეთის, ჰოლანდიის, პოლონეთის, რუმინეთისა და საფრანგეთის გუნდები.

## ზედიზედ მეორედ

უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებს უდიდესი წარმატება ელოდათ ქალიშვილთა შეჯიბრების ფინალში, სადაც მოსკოველმა ნ. ჩმირიოვამ მოუგო ძლიერ ჩოგბურთელს მ. კრიუგერს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა). 18 წლის მოსკოველმა სპორტსმენმა ეს შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარა და ძალიან ძნელ ბრძოლაში დაამარცხა მეტოქე — 6:3, 2:6, 6:1.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩმირიოვა ზედიზედ მეორე წელია იმარჯვებს უიმბლდონის ტურნირში ქალიშვილთა შორის. ახალგაზრდა ჩოგბურთელის ეს წარმატება შემთხვევითი არ არის. დედამისი სვეტლანა სევასტიანოვა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი გახლდათ, ხოლო მამა იური მოსკოვის იუნიორ ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელია.

ნატაშა ჩმირიოვა მოსკოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტია.

სურათზე: ნ. ჩმირიოვა.

## კალეიდოსკოპი

### ევროპის, საკავშირო...

ტალინი, 4 ივლისი. აქ დამთავრდა სსრ კავშირისა და აშშ-ს იუნიორ მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 213,5:163,5. ს. ლიტვინოვმა უროს ტყორცნაში 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ევროპის მიღწევას გადააჭარბა — 72,38. მ. კულჩუნოვამ 200 მეტრზე რბენაში გოგონათა საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა — 23,2, ვ. კისელიოვმა კი ჭაბუკთა საკავშირო მიღწევა დაამყარა ბირთვის კვრაში — 19,36.

### ორჯერ — ორ დღეში

**სოფია, 5 ივლისი.** (საკდესის კორ.). ბულგარელმა სპორტსმენმა ივანკა ხრისტოვამ მძლეოსნურ შეჯიბრებაში ორ დღეში ორჯერ გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი ბირთვის კვრაში. თავდაპირველად მისი შედეგი იყო 21 მეტრი და 87 სანტიმეტრი (უწინდელი რეკორდი ეკუთვნოდა გდრ-ის სპორტსმენს მ. ადამს — 21 მ, 67 სმ), მეორე დღეს კი 21 მ, 89 სმ აჩვენა.

ხრისტოვამ ორივე დღეს ექვსიდან ხუთი ცდით 21 მეტრზე შორს ჰკრა ბირთვი.

### სპეციალისტთა აზრით

ორშაბათს მანილის საზონათშორისო ტურნირის მონაწილეებს დასვენების დღე ჰქონდათ, მაგრამ მთავარი არბიტრის, ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტ კამპომანესის (ფილიპინები) გადაწყვეტილებით შედგა შეხვედრა XV ტურიდან გადადებული ერთადერთი პარტიის — უ. ბრაუნისა (აშშ) და ვ. ულმანის (გდრ) შეხვედრის დასამთავრებლად. მეტოქეებმა რამდენიმე საათი ითამაშეს და 91-ე სვლაზე დაზავდნენ.

ამრიგად, სპეციალისტების აზრით, დასკვნითი ოთხი ტურის წინ პრეტენდენტის სამ საგზურს „ემუქრებიან" მხოლოდ ე. მეკინგი (ბრაზილია) — 11,5 ქულა 15-დან, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 11, ვ. ცეშკოვსკი, ლ. პოლუგაევსკი (ორივე — სსრ კავშირი) — 10-10, ზ. რიბლი (უნგრეთი) — 9, ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) და ი. ბალაშოვი (სსრ კავშირი) — 8,5-8,5.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### თხილამურები... წრეში

საოცარი სანახაობა გადაეშლება თვალწინ ყველას, ვინც ლენინის სახელობის სანაპიროზე, დნეპრზე მოწყობილი სპორტული კომპლექსის გასწვრივ გაივლის. წრეზე, რომლის დიამეტრიც 80 მეტრია, თხილამურებით დაქრის ოთხი სპორტსმენი. ისინი სრიალებენ გრძელი ბაგირების დახმარებით, რომელთა ბოლოებიც მბრუნავი ლითონის კოშკის ფრთებზეა დამაგრებული. „კარუსელს" ჯერ მხოლოდ ცდიან. მალე აქ შეიძლება შესრულდეს სლალომი, ტრამპლინიდან ხტომა. ესაა საბჭოთა კავშირში პირველი წყალსათხილამურო საწვრთნელი სტენდი. შემთხვევითი როდია, რომ იგი გაიხსნა დნეპროპეტროვსკში, სადაც სსრ კავშირში საუკეთესო წყალსათხილამურო სტადიონია.

„კარუსელი" სპორტსმენს საშუალებას აძლევს საათში 75 კილომეტრამდე სიჩქარე განავითაროს. იგი წვრთნის საუცხოო საშუალებაა მოთხილამურეებისთვის, რადგან სტენდი წარმატებით ცვლის ერთდროულად რამდენიმე საბუქსირო კატერს.

...ლენინის სახელობის სანაპირო თანდათან ჯანმრთელობის, სპორტისა და დასვენების შიდასაქალაქო ზოლად იქცევა. ბოლო წლებში აქ აიგო დახურული მძლეოსნური მანეჟი, საცურაო აუზი, სპორტდარბაზი, სტადიონი. მალე მზად იქნება ორკილომეტრიანი სანიჩბოსნო არხი.

დნეპროპეტროვსკი.

ნ. სმოტრიაკოვი.

## „პატარა ჯარისკაცი" და სხვები

დილაადრიან საყვირის ხმა აღვიძებს ჯარისკაცებს და იწყება... გამამხნევებელი ვარჯიში.

ასეა ყოველდღე.

გვინდა გიამბოთ ერთ-ერთი სამხედრო ქვეგანაყოფის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაზე, ამისთვის სჯობს პირველ ყოვლისა ფოტოობიექტივი მოვიშველიოთ.

მაშ ასე, ყოველი დღე გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება. პირველ სურათზეც სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი. თქვენ ხედავთ იმ ქვეგანაყოფის ჯარისკაცებს, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ნ. რიბალჩენკო მეთაურობს.

ამ ქვეგანაყოფის ჯარისკაცებისთვის, ისევე როგორც მთელი სამხედრო ნაწილისთვის, ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი, პოპულარული საგანი სწორედ ფიზაღზრდა გახლავთ. მათ კარგად ესმით, რომ ჯარისკაცი თავის საბრძოლო ამოცანას ვერ შეასრულებს, თუ ფიზიკურად დაჩიავებულია. ამიტომაც დიდი გულმოდგინებით იკაჟებენ სხეულს. მეორე სურათზე ისევ რიბალჩენკოს ბიჭები არიან აღბეჭდილი, ამჯერად — მძლეოსნური კროსის ტრასაზე.

შაბათ-კვირა ისე არ გაივლის, რომ ამ სამხედრო ნაწილის ქვეგანაყოფებმა საასპარეზოდ არ გამოიწვიონ ერთმანეთი ფეხბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, სამხედრო-გამოყენებით სპორტში...

ჯარისკაცების სარბიელი სპორტდარბაზი და „სპორტქალაქი" გახლავთ. ეს ქალაქი მათ თვითონ მოაწყვეს ღია ცის ქვეშ. ამ სარბიელზე ბევრჯერ ცნობილი სპორტსმენებიც გამოსულან — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები: წერეთელი, გოგია, მანუჩარ მაჩაიძე. ამ ნაწილში ბევრ სხვა დინამოელ სპორტსმენს მოუხდია სამხედრო ვალი...

ახლა კი ერთ-ერთ მათგანს, რიგით ჯარისკაცს გ. ქუცნიაშვილს გაგაცნობთ.

მისი ბიოგრაფია ჯერჯერობით, არც ისე მდიდარია: სოფელ დიღომში დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში მუშაობდა, ახლა კი სამხედრო სამსახურს გადის. ფაქტიურად იგი ახლა იწყებს სპორტულ ბიოგრაფიასაც, რომელსაც კარგი პირი უჩანს.

ქუცნიაშვილმა სულ ორიოდე წლის წინათ დაიწყო ჭიდაობაში ვარჯიში. მან თავისუფალი ჭიდაობა ირჩია. საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ფასურიშვილმა თავისი მოწაფე სწორ გზაზე დააყენა და წარმატებებმაც არ დააყოვნა. შარშან ახალგაზრდა მოჭიდავე თბილისის ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის 48 კგ წონითს კატეგორიაში, შემდეგ საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაში მას II ადგილი ხვდა.

ქუცნიაშვილს სავალდებულო სამხედრო სამსახური ახალი დაწყებული ჰქონდა. ერთ დღეს „სპორტქალაქში" ჯარისკაცები ჭიდაობდნენ. ქუცნიაშვილმა ერთ-ერთ მათგანს, ზორბა, ჩასხმულ ჯარისკაცს რაღაც ილეთი აჩვენა. ყველამ ირონიულად გადახედა „პატარა ჯარისკაცს". მაგრამ, როდესაც მან ყველას ჭიდაობის ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა, ველარავინ გაბედა მასთან შერკინება.

აბა, რა იცოდნენ, რომ ეს „პატარა ჯარისკაცი" სულ ცოტა ხანში გუნდის ინტერესებისთვის თავისუფალ ჭიდაობას სამბოზე გაცვლიდა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდოდა ჯერ „დინამოს" ფიზკულტურული კოლექტივების II რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, შემდეგ ნაწილის პირველობაში, ბოლოს კი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ჩემპიონატში. ქუცნიაშვილს წლეულს მხოლოდ ერთხელ „უმტყუნა ბედმა" — „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში III ადგილი ხვდა.

დასასრულ ვიტყვით, რომ ქუცნიაშვილი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. ამ წარმატებაში მას სპორტი დიდ დახმარებას უწევს. აი, მოკლედ რისი თქმა შეიძლებოდა „პატარა ჯარისკაცზე", რომელსაც მესამე სურათზე ცენტრში ხედავთ, მის ჯილოებს ათვალიერებენ რიგითი ჯარისკაცები კ. შალიბაშვილი (მარცხნივ) და მ. ბერკუტოვი.

ა. გურასაშვილი,
რიგითი ჯარისკაცი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ასპარეზობენ კოლმეურნე ცხენოსნები

ამ დღეებში გუდაუთაში მოეწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" პირად-გუნდური რესპუბლიკური პირველობა საცხენოსნო სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ ზუგდიდის, ცხაკაიას, გულრიფშის, გალის, ჩოხატაურის, ოჩამჩირისა და გუდაუთის წარმომადგენლები. შეჯიბრების პროგრამაში იყო ცხენოსნობის კლასიკური სახეობები.

„გახსნის პრიზი" მოიპოვა ოჩამჩირელმა სპორტის ოსტატმა ი. ბარათელიამ. მომდევნო ადგილები დაიკავეს ტ. საფაროვმა (ჩოხატაური) და დ. ლაშქარავამ (ცხაკაია).

დაბრკოლებათა გადალახვა „სამონადირო პარკური" მოიგო ოჩამჩირელმა ჭაბუკმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. სამველიანმა.

შეჯიბრებაში „ჭაბუკთა თასზე" საუკეთესო იყო გულრიფშელი ა. ვოსტონოვი, ხოლო კონკურში „მართვაზე" — ცხაკაიელი ბ. გარუჩავა.

სამჭიდელთა შორის ახალგაზრდა ცხენებისთვის პირველობა არავის დაუთმო ზუგდიდელმა სპორტის ოსტატმა ა. კრაინენკომ, ხოლო უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაში გაიმარჯვა გუდაუთელმა სპორტის ოსტატმა ა. თარბამ.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება ცხენის გაწვრთნაში „საშუალო პრიზზე", სადაც იმარჯვა გუდაუთელმა სპორტის ოსტატმა დ. კვარჩელიამ. ამავე სახეობაში „დიდ პრიზზე" პირველი იყო ზუგდიდელი ოსტატი მ. წურწუმია.

ორი პირველი ადგილი დაიკავა ოსტატმა მ. ლაბაშიამ (გალი), რომელმაც თავისი ვეტერანი ცხენით „მოსკვიჩით" ყველას აჯობა კონკურებში „ამორჩევით" და „საქართველოს სოფლის ცხენოსანთა" თასზე.

გაიმართა, აგრეთვე, დოღები სხვადასხვა დისტანციაზე.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი წილად ხვდათ გუდაუთელებს — 232,31 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოჩამჩირელი (219,96) და ზუგდიდელი (127,13) ცხენოსნები.

შედგა „კოლმეურნის" ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სოფლის ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში.

ნ. სიჭინავა.

## სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

# პირადი მაგალითის ძალა

არის პირადი მაგალითის უკვე ჩამოყალიბებულ-დაკანონებული ნორმები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ყველასთვის, ვინც ხელმძღვანელის საპასუხიმგებლო მოვალეობა იკისრა. ამ შემთხვევაში პირობითია დარგი და სფერო, კოლექტივის მცირერიცხოვნობა ანდა პირიქით, ხალხმრავლობა — ყველაფერში და ყველგან აუცილებელია პირადი მაგალითი.

როცა საბჭოთა ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაში ფიზკულტურისა და სპორტის დამკვიდრების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაზე ვლაპარაკობთ, საქმის წარმატება თუ წარუმატებლობა ხელმძღვანელის პოზიციაზეა დამოკიდებული. ეს არ გახლავთ პრეტენზიული განცხადება. იგი სათავეს იღებს პარტიისა და მთავრობის მრავალ დადგენილებაში, რომელთა შორის განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 აგვისტოს დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. გამოვყოთ თუნდაც იმიტომ, რომ უკვე ათი წელი სრულდება მისი მიღებიდან. რაც მთავარია, ამ დადგენილების მოთხოვნების შესრულებამ მოამზადა ნიადაგი მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის სოციალური მნიშვნელობის ამოცანის გადასაჭრელად.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ დადგენილების შესრულების შეფასება ცალკე მსჯელობის საკითხია.

საერთო დასკვნა კი ძნელი გამოსატანი არ არის. თუ რამ არ გაკეთდა, არ შესრულდა, ამაში ბრალი იმ ადამიანებსაც მიუძღვით, რომლებმაც საერთო საქმე უწყებრივ ინტერესებამდე დაიყვანეს, ყველაფერი მხოლოდ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს მიანდეს. ხელმძღვანელის როლი და მდგომარეობა ყველამ როდი გამოიყენა ფიზკულტურისა და სპორტის საკეთილდღეოდ.

კრებებსა და თავყრილობებზე სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა ციტირება, ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობის ლამაზი სიტყვებით აღიარება, პირადი თაოსნობისა და მაგალითის გარეშე საქმეს ვერაფერში წაადგა. საქმე თუ არ ვაკეთეთ, სიტყვას რა ფასი აქვს? ერთმანეთის წამბაძველობით ასე მომრავლდნენ ხელმძღვანელები, რომლებიც „ყოველთვის იმას არ აკეთებენ, რასაც ქადაგებენ“. ასეთი ინერტულობაა მიზეზი ფიზკულტურასა და სპორტში დღემდე რომ არ აღმოფხვრილა სიყალბისა და მიწერების შემთხვევები. ეს ფაქტი საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდანაც სამართლიანად აღინიშნა.

წარსულ წლებშიც და ახლაც, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში ბევრი ხელმძღვანელი ფიზკულტურასა და სპორტს აღმაცერად უყურებდა და უყურებს. დღეს, მართალია, მეტია ყურადღება, მაგრამ ეს გულმოდგინება დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ზემოდან მიღებული მითითებების ოპერატიულად დაგზავნის ჩარჩოებს არ სცილდება. საქმე კი, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, კვლავ არ იძვრის. მივიწყებულია კონტროლი. ამის შემდეგ რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რესპუბლიკის მრავალ ფიზკულტურულ კოლექტივში მუშაობა ძველებურად, კვლავაც ადმინისტრაციის ზრუნვა-ყურადღების გარეშე ტარდება? ყველაფერი კეთდება მხოლოდ იმ დონეზე და იმ ფარგლებში, რისი ძალა და უნარიც ფიზკულტურულ მუშაკებს შესწევთ. მოთხოვნა ყველა მხრიდანაა — დახმარება არსაიდან. არადა, რაოდენ საჭიროა საქმიანი ყურადღება, რამდენი რეზერვი რჩება გამოუყენებელ-აუმოქმედებელი. მხარდაჭერა და სტიმული ძალიან აკლიათ ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ხელმძღვანელთა პირადი წვლილი რომ შეგვესწავლა, უფრო სწორად, რომ გაგვეანალიზებინა პასუხი ერთადერთ კითხვაზე: „პირადად თქვენ რა ღვაწლი მიგიძღვით თქვენს კოლექტივში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში?“ შედეგი ალბათ ასეთი იქნებოდა: ათასგზის სავალალო მოგვეჩვენებოდა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა. იქნებ საჭიროცაა კომპეტენტურმა ორგანოებმა სწორედ ეს აქციონ მსჯელობის საგნად.

ხელმძღვანელი, თუ იგი ჭეშმარიტად კოლექტივის ინტერესებით ცხოვრობს და მოქმედებს, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობასაც არ მიატოვებს ბედის ანაბარა. პირიქით, კოლექტივის შემაკავშირებელ ყველაზე საიმედო ძალად და ძარღვად მიიჩნევს მას.

ზემდგომი ორგანოების მითითებით, შაბათი და კვირა ბუნების წიაღში მასობრივი გართობა-დასვენების საშუალებად უნდა გადააქციონ შრომითმა კოლექტივებმა. ეს უდავოდ სასიკეთო გადაწყვეტილებაა, მით უმეტეს, რომ კარგადაა მოფიქრებული — იქვე სპორტული შეჯიბრებებიც ეწყობა. მაგრამ ბევრი ხელმძღვანელი, მათი წაბაძვით კი ხელქვეითი, არც აქ კადრულობს კოლექტივის გაძღოლას. რაკი განკარგულებას გასცემენ ღონისძიების ჩატარების შესახებ, თავს ვალმოხდილად თვლიან. იკითხავთ: კი მაგრამ, მაინც რა მოაქვს ასეთი ხელმძღვანელის პირად მაგალითსო? ყველაზე მეტად — ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობის აღიარება, მისი პოპულარობის ზრდა, მასობრიობა... ყველაფერი ეს ხომ დღემდე აკლია რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ მოძრაობას. თბილისის კავშირგაბმულობის ამასწინანდელ ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ კავშირგაბმულობის მინისტრი ვ. კობახიძე და სამინისტროს მთელი აპარატი. როგორც ხედავთ, თვით განმკარგულებლებიც დაადგნენ ტურისტულ ბილიკებს. იქვე დაიბადა აზრი, რომ საცხოვრებელ ადგილებშიც შეექმნათ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პირობები. უკვე გამოიყო სოლიდური თანხა. ერწოს ქუჩაზე, კავშირგაბმულობის მუშაკთა საცხოვრებელ კორპუსებს შორის მალე გაშენდება კომპლექსური სპორტული ბაზა. ეს ტურისტული ლაშქრობა მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ იმ დღიდან ბევრმა ხელმძღვანელმა შეიცვალა დამოკიდებულება ფიზკულტურის კოლექტივისადმი. სამინისტროს განყოფილების უფროსს კ. ანანიაშვილს, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ფიზკულტურისა და სპორტის დარგობრივ ბიუროს ხელმძღვანელობს, ბევრი ქომაგი და მხარდამჭერი გამოუჩნდა. ახლახან უნივერსიტეტის სტუდენტები ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ რ. მიშველაძის თავკაცობით ბეთანიისკენ მიმავალ ტურისტულ ბილიკებს დაადგნენ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორ თამარ დახუნდარიძის თაოსნობით მასობრივი ტურისტული ლაშქრობები ამ სკოლაში ტრადიციად დამკვიდრდა. ღონისძიებებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა მთელი კოლექტივი მონაწილეობს. გამაჯანსაღებელ მნიშვნელობასთან ერთად აქ წინა პლანზეა წამოწეული საგანმანათლებლო მიმართულება. მაგრამ ბევრნი არიან ასეთი დირექტორები, თუნდაც უნივერსიტეტში ამ ჭეშმარიტად ძველთაძველი ტრადიციის გამგრძელებლები?

უფროსებისა და ხელქვეითების ერთსულოვნებით განებივრებული არა ვართ, მაგრამ ასეთი სასიამოვნო ფაქტები მაინც არის. თბილისის რძის კომბინატის არაჟანის მთავარი ტექნოლოგი თ. რუსეიშვილი და „სამტრესტის“ ლიქიორ-არაყის საწარმოო გაერთიანების პარტიული ორგანიზაციის მდივანი ჯ. ანდღულაძე კვების მრეწველობის მუშაკთა თბილისის სპარტაკიადაში თავიანთი კოლექტივების მოჭადრაკეებს თავკაცობდნენ. ამით ისიც გვინდა ვთქვათ, რომ, ვინც შრომაშიც და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც კოლექტივის გვერდით დგას, გულგრილად არასდროს შეხედავს ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობას.

აქვე გვინდა გავიხსენოთ კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის ერთ-ერთი ბოლო კრებიდან. სპეციალისტების ლამაზი სიტყვების კორიანტელი რომ დადგა, ტრიბუნაზე ავიდა „უცხო“ კაცი. საუბარი ისე საინტერესო და საქმიანი გამოუვიდა, დარბაზში მსხდომნი გაოცებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ეს კაცი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. ყორყოლაძე იყო. საქმეში ღრმად ჩახედული სპეციალისტივით რომ ლაპარაკობდა, ეს შემთხვევითი არ გახლავთ. თავისუფალ დროს იგი სპორტს უძღვნის. მისი პირადი მაგალითის წყალობით სამმართველოში ზედიზედ გაიხსნა რამდენიმე გამაჯანსაღებელი ჯგუფი. ალბათ არის რაღაც საერთო იმაშიც, რომ ბოლო წლებში მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებაში რესპუბლიკის არც ერთ სამინისტროს და უწყებას არ შეუტანია რკინიგზის სამმართველოსოდენი წვლილი. ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეში პირადი გამოცდილებით დარწმუნებული ეს ადამიანები ყოველგვარი შეფერხების გარეშე აწესრიგებენ სხვისთვის ერთი შეხედვით პრობლემურ საკითხებს.

ასეთი თაოსნები ხშირად ყურადღების გარეშე რომ გვრჩებიან, ეს კიდევ არაფერი. მაგრამ საქმეზე, საერთო საქმეზე მაინც რატომ არ შევტკივა გული? გ. ყორყოლაძემ იმავე ტრიბუნიდან რკინიგზელთა სახსრებით თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე სპორტული დარბაზის აშენებისთვის მზადყოფნაც დაადასტურა. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ამ წინადადებისთვის მხარი დაეჭირათ, სათანადო ორგანიზაციები მშენებლობის დაწყების ნებართვისთვის შუამდგომლობის აღძვრაშიც არ დაეხმარნენ სამმართველოს.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ „...რესპუბლიკის კომუნისტურმა პარტიამ სერიოზული ზომები უნდა მიიღოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კიდევ უფრო განვითარებისთვის“. პარტიულ ზრუნვას და მომთხოვნელობას ბევრი შეუძლია. სანიმუშოდ ჭიათურის, თერჯოლისა და მაიაკოვსკის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებაც კმარა.

„რამდენიმე წლის წინათ სოფელში ფეხბურთის მინდორი მოვაწყვეთ. მანამდე გამოუსადეგარი ეს ადგილი კოლმეურნეობის გამგეობას თვალში მოუვიდა და გადახნა. ახალგაზრდობის ის თაობა ისე დავაჟკაცდა, სამაგიერო მოედანს ვერ ეღირსა. ახლა ჩვენ წამოვიჩიტეთ. დახმარება მოვითხოვეთ, მაგრამ ამაოდ. მერე მდინარის ნაპირზე გამოვნახეთ ადგილი. ტრაქტორის სახნისზე დანა არა გვაქვს და მოედნის მოწყობაში ვერ დაგეხმარებითო — მოიმიზეზეს სოფლის თავკაცებმა. ერთ უბანში მოწყობილ ფეხბურთის პატარა მინდორსაც გვართმევენ — გლეხს აძლევენ სამოსახლოდ, მაგრამ გლეხი ღვთისნიერი კაცია, ბავშვების ცოდვაში ვერ ჩავდგებიო, ამბობს“. ამ ბარათს, რომელიც რესპუბლიკის სპორტკომიტეტში მიიღეს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალის 36 ახალგაზრდა აწერს ხელს.

ახლა მეორე ბარათსაც გადავავლოთ თვალი: „კომკავშირელებმა საკუთარი სახსრებით და პირადი შრომით მოვაწყვეთ ფეხბურთის მინდორი, მაგრამ მეურნეობამ გადაგვიხნა. კომკავშირის მდივნის თხოვნაც არაფრად ჩააგდეს“, — განგაშს ტეხს კომკავშირელი ვ. ხოპოლავა ხობის რაიონის გალმა პირველი ხორგიდან.

ღირს კი ამ ფაქტების კომენტარი და უსულგულო ადამიანებზე რაიმეს დაწერა? როგორ პირად მაგალითსაც იძლევიან სოფლის თავკაცები, ისედაც ცხადია. მაგრამ გვინდა მათ გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა შესახებ ვუთხრათ ორიოდე სიტყვა. აქ ყველა უბანში ცდილობენ მოაწყონ სპორტული მოედნები. ნაკვეთის გამოყოფა სხვაზე ნაკლებად როდი უჭირთ, მაგრამ იციან უკუგების ფასი. მეურნეობის დირექტორის ზ. მემანიშვილის ზრუნვას გაათკეცებული ენერგიით უპასუხებენ მშრომელი ახალგაზრდები, რომლებსაც კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, კომკავშირულ-ფიზკულტურული ბრიგადის ბრიგადირი ტ. აბაზაშვილი ხელმძღვანელობს.

ამას წინათ გაერთიანება „თბილლუდის“ ფიზკულტურულ კოლექტივში დირექტორის თანხმობით ფიზკულტურის ინსტრუქტორის ადგილზე „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმების გარეშე არასპეციალისტი, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი დანიშნეს. რა საერთო აქვს ამ ორ დარგს ერთმანეთთან? ესეც პირადი მაგალითია, კოლექტივის თვალში ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობის გაბიაბრუების მაგალითი.

ორიოდე სიტყვა მშდ ფიზკულტურულ კომპლექსზე და კოლექტივების ხელმძღვანელთა პირად მაგალითზეც ვთქვათ. ოთხ წელიწადზე მეტი დრო გავიდა ახალი კომპლექსის შემოღებიდან. მერედა რამდენი ხელმძღვანელი გვყავს ისეთი, კომპლექსის ნორმატივები ჩაბარებული რომ ჰქონდეს?

ეს პატრიოტული მოვალეობა იქნებ ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ან მეთოდისტმა უნდა შეახსენოს უფროსებს? პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ხელმძღვანელები ასეთ შეხსენებას არ საჭიროებენ, პირადი მაგალითით ზემოქმედებენ კოლექტივზე. ეს უფრო სურვილია, რადგან სამაგალითოდ ერთი ნამდვილი მშდ კომპლექსის ნიშნოსნის დასახელებაც გვიჭირს. სამწუხაროა, რომ მოვალეობასთან ერთად პირადი მაგალითის ძალას ერთნაირი გულგრილობით ეკიდებიან შრომით კოლექტივებშიც და სასწავლებლებშიც. 30-იან წლებში, როცა კომპლექსი ის-ის იყო ფეხს იდგამდა, ქვეყნის ბევრი გამოჩენილი ადამიანი გამოდიოდა სპორტულ სარბიელზე. ისინი სიამაყით ატარებდნენ კომპლექსის ნიშანს მთავრობის მაღალი ჯილდოებით დამშვენებულ მკერდზე. № 1 სამკერდე ნიშანი ხომ ფიზკულტურელთა დიდ მეგობარს კ. ვოროშილოვს გადაეცა. მაშინ გადაიქცა პატრიოტულ მოძრაობად „ვოროშილოველი მსროლელის“ სახელისთვის ბრძოლა.

ახალი კომპლექსის დანერგვაში პრაქტიკული დახმარების გასაწევად ლენტეხში ჩავედით. საქმის სიძნელე პირველ ყოვლისა ირგვლივ შემოჯარულმა მთებმა გვაგრძნობინა. მაგრამ მეორე დღეს სპორტული ინვენტარით ვეწვიეთ სოფლებს და ყველა დარწმუნდა, თუ რა შეუძლია მონდომებას და პირად მაგალითს. კომპლექსის ნორმატივებს სოფლის მშრომელებთან ერთად აბარებდნენ რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელები. თუმცა, როგორც დრომ გვიჩვენა, კარგ თაოსნობას აღარ გაუფრთხილდნენ. იქაურ სოფლებში დღემდე ვერ დაინერგა მშდ კომპლექსი.

ხელმძღვანელთა გულგრილობით „უსაქმურთა ხტუნვად“ მონათლული ფიზკულტურა და სპორტი ვერ იხარებს და ნაყოფს ვერ გამოიღებს. ვერ იხარებს იმიტომ, რომ უფროსის ეს ირონია მეშჩანური გულმოდგინებით მოიწევს მაღლიდან დაბლა და საბოლოოდ ასევე მეშჩანური გულმოდგინებით ებღაუჭებიან მას „პატარა“ ხელმძღვანელები. სხვისი ინტერესები ასეთ თავკაცებს არ აინტერესებთ, რადგან პირადად არასოდეს განუცდიათ ფიზკულტურითა და სპორტით მონიჭებული სიამოვნება. არ განუცდიათ, არც სურთ და არც არავინ აძალებთ. ხელმძღვანელები არიან და თავი ქუდში აქვთ.

ღირს ამაზე დაფიქრება, ნამდვილად ღირს.

**თ. გაჩეჩილაძე.**

## შრომისმოყვარე მწვრთნელები

ზესტაფონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში ერთგვარად გამოცოცხლდა საკალათბურთო ცხოვრება. ამას მოწმობს ისიც, რომ სპორტსკოლის აღსაზრდელებმა I ადგილი დაიკავეს ჭიათურაში გამართულ ტურნირში. ასევე კარგად გამოვიდნენ ისინი ამას წინათ ქალაქ რუსთავში ჩატარებულ ასპარეზობაში.

სპორტსკოლაში ნაყოფიერად მუშაობს მწვრთნელი ჯ. ზაქარიაძე. ამას წინათ პედაგოგიურ კოლექტივს შეემატა ახალგაზრდა მწვრთნელი თ. გორგაძე. მან სულ მალე გამონახა საერთო ენა თავის აღსაზრდელებთან, შემოიკრიბა ირგვლივ შრომისმოყვარე ახალგაზრდები და გულიანად მოჰკიდა ხელი საქმეს. ახლა გუნდები უზრუნველყოფილი არიან სპორტული ინვენტარითა და ფორმებით.

**ა. განუგრავა.**

## სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშები

# ქუთაისსაც ეწვია

„დინამოსა“ და დოსააფის ტირებში ტყვიის მსროლელები რამდენიმე დღეს ასპარეზობდნენ, მაგრამ არც ერთი ბაზა რესპუბლიკური ტურნირის მასპინძლობისთვის სათანადოდ არ იყო მომზადებული. ის კი არა, აქ სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვაც გაჭირდება.

არც შედეგები გამოდგა სახარბიელო. ცეცხლის ხაზზე გასული 6 სპორტის ოსტატიდან, 9 სპორტის ოსტატობის კანდიდატიდან და 10 პირველთანრიგოსნიდან (სხვებზე აღარას ვამბობთ) ამ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის ნორმატივს ვერავინ შესწვდა, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა კი მხოლოდ სამმა მსროლელმა გაიმეორა.

საქართველოს და ქუთაისის პოლიტექნიკური, ფიზკულტურის ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის კოლექტივები 12-12 სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული, ქუთაისის პედინსტიტუტის გუნდის ღირსებას 6 კაცი იცავდა, გორის პედინსტიტუტმა და სამედიცინო ინსტიტუტმა კი შეჯიბრებაზე მხოლოდ 2-2 მონაწილე გაგზავნეს. მაგრამ გორელებმა ჩათვლა მაინც მიიღეს, სამედიცინო ინსტიტუტის მსროლელებმა კი ვერც ერთ ვარჯიშში ჩასათვლელი ნორმატივი ვერ შეასრულეს.

უნივერსიტეტის გუნდიც წარუმატებლად გამოვიდა — საბოლოოდ 83 ქულა მიიღო და V ადგილს დასჯერდა. მას 46 ქულით აჯობა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა.

გუნდურ ჩათვლაში ყველაზე კარგად მომზადებული აღმოჩნდა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები — 393 ქულა. II ადგილი ერგო ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს—350, III — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს — 346.

პირად შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის დაძაბული ბრძოლა გაიმართა მხოლოდ ერთ ვარჯიშში — მცირეკალიბრიანი შაშხანის წოლელა 60 გასროლაში. აქ ქუთაისელებმა აკაკი და ანდრო ლეჟავებმა (ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ს. ფარულავამ (პედინსტიტუტი) საბოლოოდ ერთნაირ შედეგს (583-583 ქულა) მიაღწიეს. ჩემპიონობა მიეკუთვნა ანდრო ლეჟავას, ფარულავა III ადგილზე გავიდა. ამ ვარჯიშში მათზე უკეთესი მაჩვენებელი მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ტინკოვამ — 585.

### სხვა ტექნიკური შედეგები

**ქალები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. სტანდარტი 3×20.** ტინკოვა—547, მ. სოსელია (სპი) — 517, ო. მინენკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 497; **წოლელა 60 გასროლა.** ტინკოვა — 585, პ. სიდელევა (სპი) — 560, მინენკო — 56. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლა.** თ. ჩიხლაძე (ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 253, ტ. ტიმოხინა (სპი) — 244, ლ. ურუშაძე (ქუთაისის პედინსტიტუტი) — 243; **მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე 60 გასროლა.** ა. პროზოროვა (სპი) — 574, ა. თომაშვილი — 556, ლ. ხუციშვილი (ორივე — თსუ) — 555. **პნევმატური შაშხანა.** ტინკოვა—355, სოსელია — 260, სიდელევა—204.

**ვაჟები. მცირეკალიბრიანი შაშხანა. სტანდარტი 3×20.** აკ. ლეჟავა — 562, პ. ჩაჩანიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 559, ან. ლეჟავა — 550. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. სილუეტებზე 60 გასროლა.** მ. ესაძე (ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 571, ლ. გეგეშიძე (სპი) — 570, მ. ჩიქოვანი (ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 557. **რევოლვერ-პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე სროლა.** გ. ჰუსეინოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი)—575, გეგეშიძე — 572, ესაძე — 571. **პნევმატური შაშხანა.** ჩაჩანიძე — 363, ს. ნემსიწვერიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 359, ან. ლეჟავა — 332.

ქუთაისი.

# ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 10 დღე

# ...ოლიმპიადის გახსნამდე 10 წუთით ადრე

17 ივლისს ინგლისის დედოფალი ელისაბედ II მონრეალში გახსნის ზაფხულის თანამედროვე XXI ოლიმპიურ თამაშებს. ეს სადღესასწაულო ცერემონიალი გაიმართება ფრანგ არქიტექტორ როჟე ტაიბერის პროექტის მიხედვით აგებულ ახალ სტადიონზე. სულ ცოტა ხნის წინათ შიშობდნენ, რომ სტადიონის მშენებლობა დათქმულ ვადებში ვერ დამთავრდებოდა, მაგრამ დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ოლიმპიადა თავის დროზე დაიწყება.

როგორია ახლა ეს სტადიონი, რომლის შესახებაც თავის დროზე მრავალი ამაღელვებელი ინფორმაცია და სტატია დაიბეჭდა მსოფლიოს თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში, რომლის პროექტმაც ამდენი შეხლა-შემოხლა გამოიწვია, ხოლო აგებამ კი ამდენი გაწამაწია?

XXI ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთათვის მონრეალის ოლიმპიური ობიექტების ჩაბარებისას ჟურნალისტთა საკმაოდ დიდ ჯგუფსაც დაგვრთეს ნება დავსწრებოდით ამ მნიშვნელოვან ცერემონიალს. ჟურნალისტებს პირველად მოგვეცა როგორც ოლიმპიური სტადიონის, ისე საცურაო აუზისა და ველოდრომის დათვალიერების შესაძლებლობა. თუ ხაზს გავუსვამთ იმ გარემოებას, რომ ამ ობიექტებს გულმოდგინედ იცავენ პოლიციელთა რაზმები და იქ შესვლა სასტიკად აკრძალულია, ეს ჩვენთვის დიდი პატივი იყო.

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე მთავარი სტადიონის irგვლივ მდებარე მიდამოები დიდ სამშენებლო მოედანს მოგვაგონებდა — განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ სატვირთო და თვითმცლელი მანქანები, ბულდოზერები, მთავრდებოდა გზების მშენებლობა. თუმცა, ზოგიერთ სექტორში უკვე ნაირფრად ყვაოდნენ გაზონები. საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა დაგვაიმედეს, რომ დარჩენილი სამუშაოები მალე დამთავრდებოდა...

რის ვაი-ვაგლახით გადავლახეთ სამშენებლო რაიონი და გავედით სტადიონზე. პირველი შთაბეჭდილება მოულოდნელი იყო — თითქოს გიგანტურ დარბაზში შევედით. ამ შთაბეჭდილებას ქმნიდა უზარმაზარი სახურავი, რომელიც გუმბათივით დამხობოდა ტრიბუნებსა და სარბენ ბილიკებს. მხოლოდ სტადიონი არ იყო ჯერ გადახურული. შიგა პერსპექტივა შემცირებული ჩანდა, თვით სტადიონი — პატარა, ხოლო სარბენი ბილიკები კი — მოკლე. ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ახლო მომავალში სტადიონის ტრიბუნებზე 70 ათასი მაყურებელი დაეტევა. სტადიონის მოედანი დაფარული იყო მობიბინე ბალახით. ეს საფარი მხოლოდ ერთი კვირის წინ დააგეს. სარბენი ბილიკების წითელი ფერი ხასხასა მწვანე მოედანთან და ცისფერ-ყვითელ ტრიბუნებთან სასიამოვნო კონტრასტს ქმნიდა. სახურავის ქვეშ უკვე მზადაა ორი დიდი ტაბლო, რომლებზეც მალე გამოჩნდება წარწერა რამდენიმე ენაზე — „სალამი XXI ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს!“.

ტრიბუნების ქვეშ გამავალი დერეფნით გავედით საწყლოსნო აუზთან. ესაა ოლიმპიური თამაშების მეორე მნიშვნელოვანი ობიექტი, რომელიც სულ სამიოდე თვის წინათაც კი ასპარეზობის ადგილობრივ ორგანიზატორთა შორის ცხარე კამათს იწვევდა. ჯერ კიდევ მარტში ფიქრობდნენ, რომ ოლიმპიური შეჯიბრება სხვა აუზში გაემართათ, მაგრამ პრობლემა წარმატებით გადაიჭრა და ახლა ამ აუზში უკვე გადიან წვრთნას მოცურავეები და წყალში მხტომელები. ობიექტი სავსებით დამთავრებულია, ხოლო ტრიბუნები 9200 მაყურებელს დაიტევს. მიუნხენის საწყლოსნო აუზთან შედარებით, ეს უნიკალური ნაგებობა უფრო დიდია და უკეთესადაცაა დაპროექტებული.

შემდეგი გასავლელით გავედით ველოდრომზე — ობიექტზე, რომლითაც მონრეალელები სამართლიანად ამაყობენ და მსოფლიოს საუკეთესო ტრეკს უწოდებენ. ამ ობიექტის დირექტორმა ლეშეკ ხელმინსკიმ განაცხადა, რომ ველომრბოლელებს ასპარეზობისთვის აქ საუკეთესო პირობები ექნებათ. ველოდრომი გადახურულია გამჭვირვალე სახურავით, ტრიბუნებზე კი 7 ათასი მაყურებელი დაეტევა.

...ჟურნალისტთა ვიზიტის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც კვებეკის პროვინციის მერმა რობერ მურასამ კმაყოფილება გამოთქვა ოლიმპიური სამზადისის მიმდინარეობით და ჟურნალისტთა შეკითხვებზეც სიამოვნებით გასცა პასუხი. მონრეალის მერმა თავი შეიკავა და პრეს-კონფერენციის მუშაობაშიც პასიური მონაწილეობა მიიღო. მას, ალბათ, საამისო საბაბიც ჰქონდა — „ოლიმპიადის მამა“, მერი ჟან დრაპო მრავალჯერ (თანაც საჯაროდ) უმიზეზოდ იყო ჟურნალისტთა ენერგიული შეტევის ობიექტი.

ახლა მონრეალელებს უკვე დაავიწყდათ უწინდელი სიძნელეები, რომლებიც ოლიმპიადის ორგანიზაციასთან და ობიექტების აშენებასთან იყო დაკავშირებული. ყველა შეპყრობილია თამაშებისწინა ციებ-ცხელებით.

მხოლოდ ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე ბოლო დღემდე იმუშავებს 5 ათასი მუშა. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ უკანასკნელი მუშები ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიას დატოვებენ ოლიმპიადის გახსნამდე 10 წუთით ადრე.

**მარეკ კანსკი.**

გაზეთი „სპორტი“ (კატოვიცე).
პოლონურიდან თარგმნა
**მანანა კიკნაძემ.**



17 ივლისს მონრეალის ოლიმპიურ სტადიონზე (სურათზე — ცენტრში) საზეიმოდ გაიხსნება XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშები. ამ ცერემონიალს ნახავს თვით სტადიონზე შეკრებილი 70 ათასი კაცი და ათეულ მილიონობით ტელემაყურებელი.



სურათზე: ოლიმპიური აუზი, სადაც მოეწყობა შეჯიბრებები ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში.

## სად რა ჩატარდება?

● **„მორის რიშარის არენა“.** ეს ბაზა, რომელიც ოლიმპიურ პარკშია აგებული, სახელგანთქმული კანადელი ჰოკეისტის მორის რიშარის სახელს ატარებს. აქ ჩატარდება მოკრივეთა შეხვედრები ფინალამდე. ტრიბუნები 6800 მაყურებელს იტევს.

● **„პოლ სოვეს“ ცენტრი.** შიგნიდან არც ისე დიდი ნაგებობა გეგონებათ, მაგრამ მისი ტრიბუნები 4500 კაცზეა ნაანგარიშევი. აქ ჩატარდება ფრენბურთელთა ყველა მატჩი, ფინალის გარდა.

● **„მეზონევის“ ცენტრიც** ოლიმპიურ პარკშია მოთავსებული. აქ ერთმანეთს შეხვდებიან კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. არენას, რომელზეც ოთხი ხალიჩაა დაგებული, გარს ერტყმის ტრიბუნები 2800 მაყურებლისთვის.

● **XXI ოლიმპიადის** ცენტრალური ბაზაა მეტად ორიგინალური კონსტრუქციის ოლიმპიური სტადიონი. იგი დაიტევს 70 ათას მაყურებელს. ოლიმპიური სტადიონის სარბიელზე მოეწყობა თამაშების საზეიმო გახსნა და დახურვა, მძლეოსანთა შეჯიბრებები, ფეხბურთელთა ფინალური მატჩები და ცხენოსანთა გუნდური ასპარეზობა დაბრკოლებათა გადალახვაში.

● **ოლიმპიადის** ორგანიზატორები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მოცურავეებს მონრეალში ყველა პირობა ექნებათ მსოფლიო რეკორდის გასაუმჯობესებლად. ამას ხელი უნდა შეუწყოს ოლიმპიური აუზის ახალმა კონსტრუქციამ. აუზის კედლები მოწყობილია ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ცურვის დროს ტალღების წინააღმდეგობა.

მოცურავეთა, წყალში მხტომელთა და წყალბურთელთა დასკვნითს შეხვედრებს (წყალბურთში წინასწარი ტურნირი ჩატარდება „კლოდ რობიარის“ სპორტული ცენტრის აუზში) დაესწრება 9 ათასი მაყურებელი. მანამდე არსებულ 2500 სკამს დაემატა 5000 დროებითი დასაჯდომი. 1500 კაცი შეჯიბრებას ფეხზე დამდგარი უყურებს. თამაშების დამთავრების შემდეგ დროებითი დასაჯდომების ადგილზე მოეწყობა 250-მეტრიანი მძლეოსნური ბილიკი.

● **მონრეალის** ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ბაზაა „ფორუმი“, რომელსაც სხვაგვარად „მსოფლიო ჰოკეის ტაძარსაც“ უწოდებენ. „ფორუმი“ გიგანტური დახურული ამფითეატრია, რომლის ტრიბუნები 16 400 მაყურებელს იტევს. აქ ჩატარდება შეჯიბრებები სპორტის რამდენიმე სახეობაში. 18-23 ივლისს „ფორუმში“ იასპარეზებენ ტანმოვარჯიშეები, 25-27 ივლისს გაიმართება კალათბურთელ ვაჟთა დასკვნითი ტურნირი, 28-ში ხელბურთელთა ფინალური შეხვედრები, 29-30 ივლისს — ფრენბურთელ ვაჟთა გადამწყვეტი მატჩები, 31 ივლისს — მოკრივეთა ფინალური ბრძოლები. მოკრივეთა ბრძოლას დაესწრება 19 ათასი კაცი. 2500 დამატებითი ადგილი მოეწყობა რინგის ირგვლივ.

### წარმოგიდგენთ ოლიმპიურ სახეობას

# ცურვა

18 ივლისი. ფინალები — 200 მ. ბატერფლაი (ვაჟები), 4×100 მ. კომბინირებული ესტაფეტა (ქალები).

19 ივლისი. ფინალები — 100 მ. თავისუფალი სტილი (ქალები), 100 მ. გულაღმა (ვაჟები), 200 მ. ბატერფლაი (ქალები), 200 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები).

20 ივლისი. ფინალები — 1500 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები), 400 მ. თავისუფალი სტილი (ქალები), 100 მ. ბრასი (ვაჟები).

21 ივლისი. ფინალები — 100 მ. ბატერფლაი (ვაჟები), 100 მ. გულაღმა (ქალები), 200 მ. ბრასი (ქალები). 4×200 მ. ესტაფეტა. თავისუფალი სტილი (ქალები).

22 ივლისი. ფინალები — 400 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები). 100 მ. ბატერფლაი (ქალები), 200 მ. თავისუფალი სტილი (ქალები), 4×100 მ. კომბინირებული ესტაფეტა (ვაჟები).

23 ივლისი. დასვენების დღე.

24 ივლისი. ფინალები — 100 მ. ბრასი (ქალები), 200 მ. ბრასი (ვაჟები), 400 მ. კომპლექსური (ქალები), 200 მ. გულაღმა (ვაჟები).

25 ივლისი. ფინალები — 800 მ. თავისუფალი სტილი( ქალები), 400 მ. კომპლექსური (ვაჟები), 200 მ. გულაღმა (ქალები), 100 მ. თავისუფალი სტილი (ვაჟები), 4×100 მ. ესტაფეტა. თავისუფალი სტილი (ქალები).

ფინალური გაცურვების დასაწყისი (ყოველდღე) 19 ს.

ყოველი ქვეყნის დელეგაციაში უნდა იყოს არა უმეტეს 33 ვაჟისა და 30 ქალისა. პროგრამის ნებისმიერ სახეობაში ყოველ ქვეყანას უფლება აქვს გამოიყვანოს არა უმეტეს ხამი მოცურავისა. ესტაფეტაში თითო გუნდი ასპარეზობს.

მოცურავეთა ოლიმპიურ ტურნირებში ყველაზე დიდი წარმატება მოპოვებული აქვთ აშშ-ს მოცურავეებს. ამ ქვეყნის ვაჟებს მიღებული აქვთ 62 ოქროს მედალი, ქალებს — 46. საბჭოთა მოცურავეთაგან მხოლოდ გალინა პროზუმენშჩიკოვა ატარებს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს. ოქროს მედალი მან მიიღო 1964 წელს (ტოკიო) 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში.

მიუნჰენში მოცურავე ვაჟთა ტურნირის გმირი იყო ამერიკელი მ. სპიტცი. მან 7 ოქროს მედალი მოიპოვა. სპიტცი ჩემპიონი გახდა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი და ბატერფლაის სტილით ცურვაში, აგრეთვე, თანაგუნდელებთან ერთად სამ ესტაფეტაში (4×100 და 4×200 მ თავისუფალი სტილით, 4×100 კომბინირებული). ამავე დროს, სპიტცმა ოთხი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ინდივიდუალურ სახეობებში და სამივე ესტაფეტაში მსოფლიო რეკორდების „თანაავტორი“ იყო.

ვაჟთა პროგრამის დანარჩენ სახეობებში გაიმარჯვეს: 400 მ. თავისუფალი სტილით — რ. დემონტმა (შემდეგ მას დისკვალიფიკაცია მიეცა), 1500 მ თავისუფალი სტილით — მ. ბარტონმა (ორივე — აშშ), 100 მ ბრასით — მ. ტაგუტიმ (იაპონია), 200 მ ბრასით — დ. ჰენკენმა (აშშ), 100 და 200 მ გულაღმა — რ. მათესმა (გდრ), 200 და 400 მ კომპლექსურით — გ. ლარსონმა (შვეცია).

მიუნჰენში ქალთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 100 მ თავისუფალი სტილით — ს. ნეილსონი (აშშ), 200 და 400 მ თავისუფალი სტილით — შ. გოულდი (ავსტრალია), 800 მ თავისუფალი სტილით — კ. როტჰამერი, 100 მ ბრასით — კ. კარი (ორივე — აშშ), 200 მ ბრასით — ბ. უაიტფილდი (ავსტრალია), 100 მ ბატერფლაით — მ. აოკი (იაპონია), 200 მ ბატერფლაით — კ. მოუ, 100 და 200 მ გულაღმა მ. ბელოუტი (ორივე — აშშ), 200 მ კომპლექსური — შ. გოულდი, 400 მ კომპლექსური — გ. ნილი (ორივე — ავსტრალია). 4×100 მ თავისუფალი სტილით და 4×100 მ კომბინირებული ესტაფეტები აშშ-ს მოცურავეებმა მოიგეს.

# 200 მილი ოქროს მედლამდე

მისი ოქროს მედალი, მოპოვებული მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების მარათონულ რბენაში, „ბოულდერ კოლო ბანკის“ სეიფში ინახება. მიზეზი ნათელია: ფრენკ შორტერი განეკუთვნება ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც არ უყვართ თავის მეტისმეტი ქება და გამოჩენა.

— ასეთ ნივთებს შინ არ ვინახავ, არ მიყვარს მათი საჯაროდ გამოფენა, — ამბობს თვით შორტერი, — ვიცი, ბევრს აინტერესებს ჩემი ოლიმპიური მედლის ნახვა, მაგრამ განა თვით ჩემი ტიტული საკმარისი არ უნდა იყოს?

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ შორტერი მეტისმეტ თავმდაბლობას იჩენს. შეიძლება ეს სუბიექტური დასკვნები ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შორტერი ასევე გადაჭარბებულ გულმოდგინებას იჩენს სპორტული წვრთნის დროსაც. მონრეალის ოლიმპიური თამაშების წინ შორტერი ძალიან დიდ დროს უთმობდა წვრთნას. ამერიკელი მარათონელი ყოველკვირეულად დაახლოებით 120 მილს ფარავდა (1 მილი — 1600 მეტრი). ეს იმას ნიშნავს, რომ მონრეალის თამაშების გახსნამდე იგი დაახლოებით 200 მილს კიდევ გაირბენს.

28 წლის ფრენკ შორტერს იენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. მისი ჩვეულებრივი დღე ასეთია: ბიუროში მიდის 10 საათზე, ბოულდერის ქუჩებში 10 მილის გარბენის შემდეგ. ფირმიდან წასვლის შემდეგ დარბის უნივერსიტეტის სარბენ ბილიკზე კიდევ 8 მილს.

— დღეს ჩემთვის მნიშვნელოვანია ოლიმპიური ოქროს მეორე მედლის მოპოვება, — ამბობს შორტერი და ღიმილით დასძენს: ესაა ჩემი დღევანდელი ცხოვრებისეული ფილოსოფია.

ასრულდება კი შორტერის ოცნება და გაიმეორებს იგი ლეგენდარული აბებე ბიკილას რეკორდს, რომელიც ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი? ამას სულ მალე ვნახავთ, მონრეალის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ხომ თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა.

• • •

სურათზე: ფ. შორტერი დისტანციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო, სასარგებლო ტურნირი

თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. თითქმის ყველა რაიონმა და ქალაქმა გამოგზავნა გუნდები. აქ იყვნენ თბილისელებიცა და ქუთაისელებიც, სოხუმელებიცა და ბათუმელებიც, რუსთავის, გორის, თელავის, გურჯაანის, სამტრედიის, საგარეჯოს, სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები. სამწუხაროდ, ტურნირი დაემთხვა სტუდენტთა სესიებს, სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებს, მაგრამ მაინც საინტერესოდ და შინაარსიანად ჩატარდა.

სანამ შეჯიბრების შედეგებს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ მსაჯებზე. საყვედურს პირველ ყოვლისა იმსახურებენ რაიონებიდან ჩამოსული მსაჯები, რომლებიც მაყურებლებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე არბიტრებს. საინტერესოა, რა ჰიზახს ისახავს მათი გამოგზავნა თბილისში, თუ ტურნირის ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებდნენ? უნდა ვთქვათ ისიც, რომ ბევრმა თბილისელმა მსაჯმა თავი აარიდა თავის პირდაპირ მოვალეობას, არადა, ყველაზე გამოცდილი და ავტორიტეტიანი მსაჯები სწორედ თბილისში ცხოვრობენ.

წინასწარ შედგენილმა სპეციალისტთა ჟიურიმ და მსაჯთა კოლეგიამ შეარჩია პერსპექტიული, მზარდი ახალგაზრდები. მათ არც ზოგიერთი ფიქტიური შეხვედრა გამოეპარათ, რისთვისაც ხელშემწყობნი ადგილზევე დაისაჯნენ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების ნორმალურად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩემპიონატის მთავარ მსაჯს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ზ. ბერიაშვილსა და საქართველოს სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელს გ. ყვარელაშვილს. მათი პრინციპული პოზიციისა და მომთხოვნელობის წყალობით, ზოგიერთი ნაკლი დროულად აღმოიფხვრა.

დასამახსოვრებელი, ტექნიკური ჭიდაობით მოგვაწონეს თავი თბილისელებმა დ. გიგაურმა, მ. ხითაროვმა, ე. კიკაბიძემ, ვ. იაშვილმა, სოხუმელებმა — ა. მაისურაძემ, ვ. ხარებავამ, ა. ვორონცოვმა, ქუთაისელმა ბ. აბესაძემ, ჭიათურელმა გ. მაჭარაშვილმა და სხვ.

განსაკუთრებით დაძაბული იყო ფინალური ორთაბრძოლები. მაგალითად, 82 კგ წონით კატეგორიაში თბილისელი ოსტატების ვ. იაშვილისა და ნ. ბუთხუზის შანსები თანაბარი იყო, მაგრამ ჭიდაობაში ფრე არ შეიძლება და გამარჯვებაც, მსაჯთა გადაწყვეტილებით, ვ. იაშვილს მიეკუთვნა,

გუნდური გამარჯვება თბილისელებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ ქუთაისის, ხოლო III — სოხუმის წარმომადგენლები. ქებით უნდა მოვიხსენიოთ სამტრედიის ახალგაზრდა ათლეტებიც, რომლებიც მონდომებით იბრძოდნენ. ისინი სპორტის ამ სახეობის ჭეშმარიტი პროპაგანდისტები არიან რაიონში. თავი გამოიჩინეს ქუთაისის, სოხუმის, რუსთავისა და ბათუმის მწვრთნელთა აღსაზრდელებმა. ისინი კარგ ფორმაში იყვნენ.

გაგაცნობთ რესპუბლიკური ჩემპიონატის პრიზიორებს:

48 კგ. 1. ბ. აბესაძე (ქუთაისი), 2. ბ. მელაშვილი (სამტრედია), 3. თ. შუკაკიძე (თბილისი).

52 კგ. 1. ზ. გულიშვილი, 2. ვ. თარგამაძე (ორივე — თბილისი), 3. რ. აბზიანიძე (ქუთაისი).

57 კგ. 1. ე. კაპანაძე (თბილისი), 2. მ. ჩხაიძე (მცხეთა), 3. ა. ნიკურაძე (თბილისი).

62 კგ. 1. მ. ხითაროვი, 2. ბ. სარდანაშვილი, 3. ნ. ქათამაშვილი (სამივე — თბილისი).

68 კგ. 1. დ. გიგაური (თბილისი), 2. გ. თედიაშვილი (გორი), 3. ა. ვორონცოვი (სოხუმი).

74 კგ. 1. ე. კიკაბიძე (თბილისი), 2. მ. ბადრუდინოვი (სოხუმი), 3. ა. მიქაძე (ბათუმი).

82 კგ. 1. ვ. იაშვილი, 2. ნ. ბუთხუზი (ორივე — თბილისი), 3. ი. ბუბაშვილი (სოხუმი).

90 კგ. 1. ა. მაისურაძე (სოხუმი), 2. გ. მაჭარაშვილი (რუსთავი), 3. ა. ალავიძე (ქუთაისი).

100 კგ. 1. ა. კანკავა (თბილისი), 2. ჯ. ჩიხრაძე (რუსთავი), 3. თ. ჯანელიძე (ქუთაისი).

მძიმე. 1. ზ. ნიკურაძე, 2. ჯ. ტარიელაძე (ორივე — თბილისი), 3. ს. ჟღენტი (ქუთაისი).

**ო. ჩხაიძე,**
**სპორტის ოსტატი.**

# სესიის დღის წესრიგში

გაიმართა მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაისაბჭოს მე-15 მოწვევის VII სესია, რომელმაც განიხილა საკითხი „რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული, მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ“.

მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქობალია. თანამოხსენება გააკეთა რაისაბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის და სოცუზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორმა ა. ჭეჟიამ.

მომხსენებელმა და თანამომხსენებელმა ილაპარაკეს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საჭირო მუშაობაზე, მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის მეტ კომპლექსის შესაძლებლობებზე, სპორტული ბაზების მშენებლობის გადაუდებელ ამოცანებზე.

ითქვა, რომ აუცილებელია ზუგდიდში ბუნებრივი თერმული ცხელი წყლის ბაზაზე საცურაო აუზის აგება. ყურადღება უნდა გამახვილდეს სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებაზე.

კამათში მონაწილეობდნენ ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი გ. შონია, რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე შ. გაბედავა, განათლების განყოფილების გამგე მ. ნარმანია, ზუგდიდის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი მ. ბოკუჩავა, ცაიშელი მეჩაიე ნ. ქვირია, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ბულია.

სესიის მუშაობა შეაჯამა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ.

**პ. ფიფია.**
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## „კოლხიდის“ სწრაფი ველოსიპედები

ქუთაისის საქალაქო პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში სამტრედიის გზატკეცილზე ჩატარდა. შეჯიბრების პროგრამაში იყო რბოლა სამ დისტანციაზე — 30 კმ-ზე რიგ-რიგი სტარტით, 75 კმ-ზე გუნდური ასპარეზობა და 120 კმ-ზე ჯგუფური რბოლა.

რიგ-რიგი სტარტით ასპარეზობა მოიგო სპორტკლუბ „კოლხიდის“ წევრმა ტ. გიორგობიანმა. გამარჯვებულს ოდნავ ჩამორჩა მისივე თანაგუნდელი თ. ბობოხიძე.

„კოლხიდის“ ნაკრების წევრთა გამარჯვებით დამთავრდა გუნდური რბოლაც. II ადგილზე გავიდნენ განათლების განყოფილების, ხოლო III — „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდები. I ადგილზე გასული კოლექტივის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ა. ჩოგოვაძე, ტ. გიორგობიანი, გ. ჩოგოვაძე და თ. ბობოხიძე.

დაძაბული იყო ჯგუფური რბოლა. აქ დიდხანს ლიდერობდა ა. ჩოგოვაძე, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი II ადგილზე დარჩა. პირველობა მოიგო განთიადელმა თ. ქიმუცაძემ. მეორე იყო ა. ფხაკაძე (განათლების განყოფილება). საერთო გუნდური გამარჯვება „კოლხიდას“ ველოსიპედისტებს დარჩათ (მწვრთნელი ა. ბაბუნაშვილი).

**ლ. ფაჩუაშვილი.**



უკანასკნელი წრე.

მ. თათარიშვილის ფოტოეტიუდი.

### ბურჟუაზიული სპორტის ზნე-ჩვეულებანი

✦

# ველოსპორტი ბიზნესის ბადეში

*უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ სტარტიდანვე იწყება მრავალრიცხოვანი ეროვნული და საერთაშორისო მონოპოლიების „ალოობაც“. აქ მთავარ როლს ველოსპორტისადმი ბიზნესმენთა განსაკუთრებული სიყვარული როდი თამაშობს... უნდა გვახსოვდეს, რომ 50 მილიონი ტელემაყურებელი (მათგან 20 მილიონი — საფრანგეთში) და გზებზე ჩამწკრივებული 12 მილიონი გულშემატკივარი საუცხოო „სამიზნეა“ საქონლის რეკლამისთვის. სამი ყოველდღიური ტელერეპორტაჟი რბოლიდან აინტერესებს არა იმდენად გულშემატკივრებს, რამდენადაც ბანკირებს, ნავთობისა და საავტომობილო მრეწველობის ბოსებს. ბიზნესის მესვეურნი თავად ცინიკურად აცხადებენ: ეს შეჯიბრება რომ არ იყოს, ჩვეულებრივი რეკლამისთვის ათჯერ მეტი ფული დაგვჭირდება, ვიდრე შეჯიბრების ორგანიზატორთა უხვ „გასამრჯელოს“ და პრიზების ხარჯებს სჭირდებაო.*

*საფრანგეთში პროფესიონალ ველომრბოლელებს „მოარულ რეკლამას“ უწოდებენ. მათი მაისურები აჭრელებულია ფირმების სახელებით, რომელთა საქონელსაც ისინი უწევენ რეკლამას გარკვეული საზღაურისთვის. საკმარისია ითქვას, რომ მარტო პეჟოს საავტომობილო კონცერნი ველოტრეკის 20 ოსტატს აფინანსებს. მათ შორის არიან ტევენე, ოვიონი, დანგიიომი. პეჟოს საავტომობილო — კონცერნის ხელმძღვანელები დარწმუნებული არიან, რომ მათი გამოსვლები საუკეთესო რეკლამაა ველოსიპედების წარმოებისთვის.*

*პეჟოს არც ესსოს ნავთობის კონცერნი ჩამორჩება, რომელიც „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზაციისთვის გაწეული ხარჯების მესამედს იხდის.*

*„თუ ველოსიპედები ნაკლებად შეიცვალა ბოლო წლებში, — გესლიანად შენიშნავს გაზეთი „ნუველ ეკონომისტი“, დიდი ბიზნესი სულ უფრო ფართო მასშტაბით მოქმედებს“.*

*„ტურ დე ფრანსი“ კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვირწმუნებს, რომ პროფესიული ველოსპორტი საფრანგეთში იქცა დიდი ბიზნესის ნაწილად, მოგების საუცხოო გზად.*

**ა. მანდროვი.**

პარიზი.

# „სპორტი ადამიანთა ურთიერთობის საუკეთესო გზაა“

ნიუ იორკი, 5 ივლისი. (საკდესის კორ. ვ. ბაიდაშინი). „მონრეალში სიგრძეზე ხტომაში რამდენიმე სპორტსმენს შეუძლია ჩემპიონობა მოიპოვოს. ესენი არიან ვალერი პოდლუჟნი, ჰანს ბაუმჰარტნერი გფრ-იდან, იუგოსლაველი ნენად სტეკიჩი და ამერიკელი ლერი მირიქსი. მაგრამ, ჩემი ვარაუდით, მათგან ვერც ერთი ვერ გააუმჯობესებს ბობი ბიმონის რეკორდს. ასეთი ნახტომი იშვიათი მოვლენაა“.

ეს პროგნოზი ეკუთვნის კაცს, რომელმაც საუცხოოდ იცის მძლეოსნობა საერთოდ, კერძოდ კი სიგრძეზე ხტომა. მისი სახელია რალფ ბოსტონი. მას გამოცდილი აქვს ოლიმპიური გამარჯვების სიხარული — რომის თამაშების ჩემპიონია. სწორედ ბოსტონმა დაამხო თავისი სახელგანთქმული თანამემამულის ჯესი ოუენსის რეკორდი სიგრძეზე ხტომაში, რეკორდი, რომელიც მიუწვდომლად მიაჩნდათ.

რაც შეეხება მონრეალის ოლიმპიადას, აქ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების იმედები, ბოსტონის აზრით, დაკავშირებულია უმთავრესად მირიქსთან. 19 წლის მხტომელი მოსწონს რალფს: იგი ძალიან ადვილად ითვისებს სიგრძეზე ხტომის ყველა საიდუმლოს, სარბენ ბილიკებზე ძალიან სწრაფია (100 მ — 10,4).

ახლა რალფ ბოსტონი 37 წლისაა. იგი კომპანია სი-ბი-ეს-ის სპორტული კომენტატორია. თავად ახლა მხოლოდ ჩოგბურთსა და გოლფში ვარჯიშობს, გარდა ამისა, ყოველ დილით დარბის, რომელ ქალაქშიც უნდა იყოს.

ბიმონის რეკორდზე საუბრის დროს ბოსტონმა აღნიშნა, რომ მეხიკოს ოლიმპიადის შემდეგ ამ შედეგს მსოფლიოს სპორტსმენებიდან ვერც კი მიუახლოვდა ვინმე. თავად რეკორდსმენი ახლა ო'ჰარას პროფესიულ მძლეოსნურ „ცირკში“ გამოდის. „მე ახლახან ვნახე იგი, — ამბობს რალფი. — ვარჯიშობს და კარგ ფორმაშია, მაგრამ იმ შედეგებს, რასაც სამოყვარულო მძლეოსნობაში აღწევდა, ახლა ვეღარც კი უახლოვდება, იგივე შეიძლება ითქვას პროფესიონალებში გადასულ სხვა ვარსკვლავებზე, სიგრენზე, მაგალითად: „ცირკის“ მსახიობებიდან ვეღარავინ გაიმეორა თავისი საუკეთესო შედეგი. რეკორდები იბადება არა ფულის დევნაში, არამედ აშკარა, პატიოსნურ სპორტულ ბრძოლაში. რეკორდების დამყარება არ შეიძლება დაკვეთით, მით უმეტეს გასამრჯელოს გულისთვის. ასე რომ, პროფესიული ცირკი, ჩემი აზრით, ვერასდროს გაუტოლდება სამოყვარულო სპორტს, თუმცა ამ სპორტის პროგრესის გზაზე დგას. ყოველ შემთხვევაში ჩვენში ასეა“.

„იქნებ იმიტომ ქრებიან ასე სწრაფად მძლეოსნობის ვარსკვლავები ჩემს ქვეყანაში, რომ სპორტსმენები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მოგება მოიხვეჭონ თავისი ოლიმპიური მედლების ხარჯზე, რაც შეიძლება სარფიანად გამოიყენონ ეს ჯილდოები პროფესიულ ფეხბურთში თუ მძლეოსნურ ცირკში? — კითხულობს ბოსტონი. — მიაქციეთ ყურადღება: ახლა ამერიკაში თითქმის არ არის მძლეოსანი, რომელიც გაუტოლდება ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ორტერს ან ჯონსონს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ბრწყინავდა ათჭიდელთა შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოყვარულო სპორტის განვითარებას აფერხებს რასობრივი დისკრიმინაციაც, რაც ჯერ კიდევ არსებობს ამ ქვეყანაში, თუმცა, შეიძლება ისე თვალში საცემი აღარ იყოს.

ჩემი აზრით, სპორტი ადამიანთა ურთიერთობის საუცხოო გზაა. როცა საბჭოთა მხტომელებთან იგორ ტერ-ოვანესიანთან, ლეონიდ ბარკოვსკისთან, ტიინუ ლეპიკთან ერთად გამოვდიოდი სარბიელზე, არასოდეს ავუღელვებივარ იმ საკითხს, რომ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ვიყავით. უბრალოდ, ჩვენ პატიოსნად ვეჯიბრებოდით ერთმანეთს და, თუმცა ყოველ ჩვენგანს მოგება სურდა, კარგი მეგობრები გავხდით. მე ახლაც ვოცნებობ საბჭოთა კავშირში ხელმეორე ჩასვლაზე, შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრაზე.

მე მინდა კარგი ბედი და მაღალი შედეგები ვუსურვო საბჭოთა სპორტსმენებს მონრეალის მომავალ ოლიმპიურ თამაშებში“.

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## გერდ მიულერის 300 გოლი

სხვადასხვა რეკორდი ეკუთვნის განთქმულ სნაიპერს გერდ მიულერს (მიუნხენის „ბაიერნი“). გფრ-ის უკანასკნელი ჩემპიონატის ფინიშზე „ბოხუმთან“ შეხვედრაში მიულერმა კიდევ ერთი თავისებური რეკორდი დაამყარა — ბუნდესლიგაში მე-300 გოლი გაიტანა!

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 08927